

ირაკლი მარგველაშვილი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღბილი ფინანსური

ეკონომიკის სისტემაში

ფინანსური ეკონომიკა არის გაუპიროვნებელი საკუთრების ბატონობა, დეპერსონიფიცირებული საკუთრება, რომელიც ადვილად გადადის ხელიდან ხელში. საცვლელი ღირებულების პირველი გაელვება და ფინანსური ინსტრუმენტების და ფორმათა თანამედროვე აღზევება სხვა არაფერია, თუ არა საკუთრების განკერძოების პროცესის შედეგი და გამოვლინება. სწორედ ეს პროცესი განაპირობებს ფინანსური სექტორის ძირითად თავისებურებებს – მისი რეალური საკუთრებიდან განკერძოებულობას და შეფარდებით დამოუკიდებლობას, მის უნარს აღიქვას და გადაამუშავოს დროის ფაქტორები ღირებულების ფორმაში, ჩამოაყალიბოს მეურნეობათა სოციალურ-პოლიტიკური დახასიათება, ხოლო რაც ყველაზე მთავარია – ეკონომიკის ყველა სუბიექტი დააკავშიროს ერთიან მაკროეკონომიკურ პროცესთან, კაპიტალის მოძრაობაში მოხსნას ყოველგვარი შეზღუდვები და განახორციელოს სარისკო ინვესტიციები განუსაზღვრელობის პირობებში.

ამასთან, აბსტრაქციის პროცესი მასში ჩართული ელემენტებით რეალური მოვლენების ტრანსფორმაციაა, მათი ილუზორული ასახვა ჩვენს შეგნებაში. ნებისმიერ აბსტრაქციას სჭირდება ავთენტიკური ფორმა, რომელიც მის წყაროდ იქცევა. ფინანსური ეკონომიკისათვის ასეთ წყაროდ იქცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება და განსაკუთრებით მსოფლიო ფინანსური ურთიერთობების პროგრესი, უცილობლად, განპირობებული იყო კაპიტალის უცხო ქვეყნებში გატანის პროცესის გააქტიურებით. ამიტომ შეცდომად მიგვაჩნია ვისაუბროთ ფინანსურ ეკონომიკაზე და იგი განვიხილოთ მისი საფუძვლიდან მოწყვეტით.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალად გვევლინება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით. აქედან ჩნდება საჭიროება ამ სფეროში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების მუდმივი შესწავლისა. კაპიტალის მიგრაციამ

მიგვიყვანა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის გადრმაგებამდე. ნებისმიერი ქვეყნისათვის (მათ შორის საქართველოსთვის), რომელიც დაადგა მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის გზას, აუცილებლობას წარმოადგენს კაპიტალის მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობა.

დღესდღეისობით საქართველოს საკმაოდ მორიდებული ადგილი უკავია ამ პროცესებში. სამწუხაროდ, მთელი რიგი გარემოებების გამო იგი არ არის მზად მსგავს პროცესებში სრულყოფილად ჩასართავად. კერძოდ, დაუხვეწავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირება, მოუგვარებელია საერთაშორისო მოლაპარაკებების სისტემაში ქვეყნის მონაწილეობის საკითხი, იქ მიღებული გადაწვეტილებების დაცვის საკითხი, ჩამოუყალიბებელია ეკონომიკურ საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევის მეთოდები და ხერხები და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური სტრატეგიის შემუშავებისა და უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობის გაბმის პარალელურად ჩნდება კითხვები, რომლებიც უკავშირდება ისეთი ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციას, რაც უპირველესყოვლისა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებში ჩაჯდება. მიზანშეწონილი იქნება უფრო ზუსტად ფორმულირდეს ინვესტიციების მიზიდვის პრიორიტეტული მიმართულებები, რეციპიენტი სექტორების რეგიონული და დარგობრივი მახასიათებლების მხედველობაში მიღებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის საკითხის სწორ ფორმულირებაში დაგვეხმარება მისი რეგულირების მსოფლიო გამოცდილება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის ინსტიტუციური სტრუქტურა საქართველოში არასტაბილურობით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება დადებითი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაზე. საჭიროა მკვეთრად განისაზღვროს მოქმედი კანონებისა და იურიდიული ნორმების სრულყოფის მიმართულებები.

მსოფლიო გამოცდილების განზოგადებისა და ანალიზის საფუძველზე უნდა შეიქმნას ქართულ რეალობაში კონცეფციური მიდგომა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების მეთოდებზე, შესაძლებლობებსა და მიმართულებებზე. ეს მიზანი შეიძლება რამდენიმე ნაბიჯად დავყოთ:

- მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობის ზოგადი ტენდენციების გამოვლენა და ფორმულირება ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, მათი ფუნქციონირების პირობების განსაზღვრა და იმ ფაქტორების აღნიშვნა, რომელთა გავლენითაც ისინი ფორმულირდებიან;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებაში გამოვლენილი ტენდენციების ფორმულირება;
- ინვესტიციების რეგულირების უცხოური გამოცდილების დახასიათება. ჩვენს ქვეყანაში უცხოური სექტორის განვითარებაში მისი გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ქართული ეკონომიკის საინვესტიციო პოტენციალის გაანალიზება და ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების შესაძლო მიმართულებების გამოვლენა;
- რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის მეთოდოლოგიური ბაზის ჩამოყალიბება.

ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა, რომლებიც ძველებურად კონცენტრირებულია მცირერიცხოვან განვითარებულ ქვეყნებში, ეს კი ამწვავებს კონკურენციას ინვესტიციების მოპოვებაზე. განვითარებულმა ქვეყნებმა მოხდინეს სამართლებრივი გარემოს უნიფიცირება ეროვნული და უცხოური ინვესტიციებისათვის, რის გამოც “უცხოური ინვესტიციები” უფრო და უფრო პირობით ცნებად იქცა ამ სფეროში. რა თქმა უნდა შენარჩუნდა განსხვავებაც, რის ბაზაზეც მიმდინარეობს კონკურენცია, მაგრამ ძირითადი ფაქტორები საერთო გახდა: საკუთრების უფლება, ადმინისტრაციული წესების გამჭვირვალობა და სხვ. ზუსტად ესენი ზემოქმედებენ ისეთ პირობებზე, რომლებიც უნდა შექმნან მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების მატარებელმა განვითარებადმა ქვეყნებმა, რათა მიიღონ ინვესტიციები.

მე-20 საუკუნის 80-90-იან წწ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საგრძნობლად გაიზარდა. ისინი გახდნენ ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რაც უზრუნველყოფს უფრო მსხვილი ეკონომიკის ქვეყნებში საწარმოო სიმძლავრეების, კაპიტალის, ტექნოლოგიების, მმართველობითი გამოცდილების და ჩვევების, ინოვაციების გატანას მიმღებ ქვეყნებში. ასე შეუწყვეს ხელი პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მაღალიზის, ინდონეზიის,

ფილიპინების და ტაილანდის მრეწველობის განვითარებას. ამ ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურის ტრანსფორმაციას და მათი საერთაშორისო სპეციალიზაციის ცვლილებას – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და მინერალური ნედლეულის ექსპორტიდან მზა სამრეწველო პროდუქციის მსხვილ მწარმოებლამდე და ექსპორტიორამდე.

ინვესტიციების მოზიდვის ეფექტიანობის ზრდა დამოკიდებულია ფაქტორების კომპლექსზე, რომლებიც აყალიბებენ ინვესტიციურ კლიმატს. მათგან ყველაზე მთავარია ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, ადეკვატური ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების არსებობა, ეფექტიანი ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო.

ქვეყნის მიმზიდველობის შეფასებისას ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ეროვნული პოლიტიკა, რადგან, სწორედ ის განსაზღვრავს ქვეყნის სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემის ტრანსპარენტულობას, რომელიც გავლენას ახდენს უცხოელი ინვესტორების მიერ გაწეულ ხარჯებზე. საქართველო იმ შემთხვევაში შეძლებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდას, თუ იგი მოახდენს იმ ღონისძიებების კომპლექსის რეალიზებას, რაც ითვალისწინებს ბიზნესზე საგადასახადო ტვირთის შემცირებას, სამეწარმეო საქმიანობისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების გაუმჯობესებას.

ეროვნული პოლიტიკის მთავარ მდგენელად უნდა იქცეს უცხოელი ინვესტორებისათვის მათი უფლებებისა და საკუთრების დაცვაზე გარანტიების მიცემა, რაც უნდა განხორციელდეს რეგულირების საერთაშორისო ინსტრუმენტებით (ორმხრივი, რეგიონული, რეგიონთაშორისი და მრავალმხრივი) უზრუნველყოფილი რეჟიმების – ეროვნული რეჟიმისა და უმეტესი მფარველობის რეჟიმის საფუძველზე. ქვეყნებს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების უმეტესობა არ შეიცავს თავებს ინვესტიციური დავების მოგვარების წესზე, რაც ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს ნაკლებად ანგარიშვალდებულს ხდის. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ყველაზე უფრო ქმედით მექანიზმს წარმოადგენს უნიფიცირებული ხასიათის მატარებელი მრავალმხრივი შეთანხმებები.

გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად, კაპიტალის მიმღები სუბიექტების რაოდენობის ზრდამ განაპირობა ამ ქვეყნებს შორის კონკურენციის გამწვავება და გამოიწვია ეკონომიკური რეჟიმების გადახედვა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან

დაკავშირებით. ამის მიღწევა მოხდა ეროვნულ დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების რეჟიმების მასშტაბური და დაჩქარებული ლიბერალიზაციით, მთელ მსოფლიოში მრავალრიცხოვანი მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების დადებით. ამ პროცესების მიღმა ვერც საქართველო დარჩებოდა და მნიშვნელოვანწილად აღმოჩნდა მასში ჩართული.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გზაზე ბარიერების მოსპობა შეიძლება მიღწეულ იქნეს შემდეგი ღონისძიებების წყალობით:

- უცხოური კომპანიების ფილიალებთან დაკავშირებული ეროვნული სტანდარტების სრულყოფით (კერძოდ, ბევრი ქვეყანა უცხოურ კომპანიებს გარანტირებულს ხდის ინვესტიციების იურიდიულ დაცვაში, უმეტესი მფარველობის რეჟიმის შეთავაზებაში, ყველა მათგანისადმი თანაბარ მიდგომაში, ასევე მოგების თავისუფალ გადინებაში, კაპიტალის რეპატრიაციასა და დავების სამართლიან გადაწყვეტაში);
- საიმიგრაციო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით;
- სავალუტო რეგულირების ლიბერალიზაციით;
- კაპიტალდაბანდებების მინიმალურ მოცულობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემცირებით ან გაუქმებით;
- რეგისტრაციის პროცედურების გამარტივება ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის საერთო მოთხოვნების კომპლექტის მინიმიზირების საფუძველზე.

ლიბერალიზაციის ზოგადი ტენდენციების მიუხედავად, რეგულირების ეროვნული პოლიტიკა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ყველაზე გახსნილ ქვეყნებშიც კი ინარჩუნებს ძველ მდგომარეობას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო კონტროლს ეკონომიკაში უცხოელი ინვესტორების დაშვებაზე და მათ შემდეგ საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყველა მრავალმხრივი თუ ორმხრივი ინვესტიციური შეთანხმება უცხოურ კაპიტალს აძლევს გარანტიას ადგილობრივ ბაზრებზე თავისუფალი დაშვებისა, არც ერთი მათგანი არ შეიცავს ქვეყნის მთავრობების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაკონტროლებელი რაიმე მეთოდის გამოყენებაზე უარის მთქმელ წინადადებებს. საერთაშორისო გამოცდილება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე პირობებში ინვესტიციების მიმართულებით წარმართული ძალისხმევა უნდა დარჩეს სახელმწიფო ორგანოების ყურადღების ქვეშ, რათა არ მოხდეს ადგილობრივი ბაზრების დეფორმაციის დაშვება.

მსგავსი ამოცანების წინაშე დგანან მიმღები ქვეყნების მთავრობები (განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები) გარემოს დაცვის სფეროში ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებული ინვესტიციების დროს. გაზრდილი ყურადღება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ გამოწვეულია არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ამ პრობლემებით დაინტერესებით, არამედ გავლენიან მომხმარებელთა ასოციაციების, მრავალრიცხოვანი ეკოლოგიური ჯგუფებისა და ორგანიზაციების მხრიდან აქტივობის ზრდით. ეს ყველაფერი ართულებს ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ინვესტიციური პროცესის წარმართვას და უბიძგებს მათ ორმაგი ეკოლოგიური სტანდარტების გამოყენებისაკენ. ბევრი მათგანი გარემოს დაცვას განიხილავს, როგორც კომერციული ეფექტიანობის ზრდის ფაქტორს. ეს მომენტი ახალი და ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილი ტენდენციაა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებული პროცესების გაღრმავებასთან ერთად უფრო მკაფიო ასახვას პოვებს სამეურნეო ცხოვრებაში.

ტრანსნაციონალური საქმიანობის ქმედებაში არც თუ მცირე როლის თამაშობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის კონკურენციულ ბრძოლაში ჩართული ქვეყნების ინვესტიციური იმიჯის ამსახველი ინფორმაცია. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი გამაგრებულია საგადასახადო, ფინანსური და ორგანიზაციული ხასიათის სპეციალური მასტიმულირებელი ღონისძიებებით.

მთავრობა იყენებს სტიმულებს საერთო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ან დარგობრივი და რეგიონული ნაკადების გაფართოებისათვის, ასევე ინვესტიციების ხასიათის განსაზღვრისათვის, მაგალითად, როცა საჭიროა ახალი ტექნოლოგიების მატარებელი ინვესტიციების შემოდინება.

თანამედროვე პირობებში ინვესტიციური პროცესების გაღრმავებისათვის გამოიყენება სხვადასხვა საგადასახადო სტიმულები ისეთ სახელმწიფო ღონისძიებებთან ერთად, როგორცაა განათლების სისტემის განვითარება, შრომის ბაზრის რეგულირება, სასაქონლო ბაზრების დერეგულირება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. ზოგიერთი ქვეყანა, ინტეგრაციული გაერთიანება თუ საერთაშორისო შეთანხმება ცდილობს შეზღუდოს ინვესტიციური სტიმულების გამოყენება, აძლევს რა ამ მოვლენას არადისკრიმინაციულ ხასიათს და ზღუდავს შეღავათებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ბაზრის აღშფოთება. ხშირად შეზღუდვები იდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

მაგალითად რიგი შეღავათები გათვალისწინებულია 1995 წ. მიღებული შეთანხმებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინვესტიციურ ღონისძიებებზე. მსგავსი დანიშნულება აქვს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საზღვრებში შემუშავებულ ინვესტიციურ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს აკრძალვებს ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების მოთხოვნებზე.

მთლიანობაში მსოფლიო გამოცდილების ანალიზი მოწმობს, რომ ინვესტიციური სტიმულები, მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ღონეზე ვერც განვითარებულ და ვერც განვითარებად ქვეყნებში, თუმცა ასეთი სტიმულების არსებობა საშუალებას გვაძლევს გაზარდოს მოგება კონკრეტული პროექტებიდან. სტიმულებისადმი ნაკლებ მგრძობიარეა მიმღები ქვეყნის შიდა ბაზრის მომსახურე პროექტები, ვიდრე ექსპორტზე ორიენტირებული პროექტები.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ღონისძიებები განვითარებულ ქვეყნებში XXს-ის 90-იან წწ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულები	ბრაზილია	ჩინეთი	მექსიკა	ინდოეთი	ინდონეზია
დაბალი კორპორაციული გადასახადი	+	0	+	0	+
საგადასახადო არდადეგები	+	+	+	+	+
აქტივების შემცირების მოკლე ვადები	+	+	+	0	+
შეღავათები რეინვესტირებაზე	0	0	+	+	0
დაბალი დანარიცხები სოციალურ საჭიროებებზე	+		+	0	0
დაბალი დღგ	+	0	+	0	0
შემოტანილ რესურსებზე საიმპორტო გადასახადების შემცირება	+	+	++	+	+

(++ ძალიან განვითარებული, + განვითარებული, 0 განუვითარებელი).

ზემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ხუთი მსხვილი განვითარებადი ქვეყნის ინვესტიციური პოლიტიკის სტიმულებისა და პრიორიტეტების ანალიზი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ პრაქტიკაში ინერგება არაფინანსური და პირდაპირი სტიმულების კომბინირება ფინანსურ საჭიროებებთან და საერთო ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაში. სტიმულების ნაკრები ვარირებს ქვეყნიდან ქვეყნამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების პერიოდში მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რეჟიმი. ბევრ ქვეყანაში კონტროლის ფუნქციებით აღჭურვილია ცენტრალური ბანკები, ფინანსთა, ეკონომიკის, ვაჭრობის, მრეწველობის და სხვა სამინისტროები. ზოგჯერ მათში გამოყოფილია სპეციალური განყოფილებები ან დეპარტამენტები, რომლებიც თანამშრომლობენ უცხოელ ინვესტორებთან. ასეთი ორგანოების ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს განაცხადების განხილვა, უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საწარმოების კონტროლი, სტიმულირება, კონსულტაციების მიცემა, პოლიტიკის შემუშავება და სხვ. რიგ ქვეყნებში ანტიმონოპოლიური სამსახური იძლევა უფლებას უცხოური კომპანიების მონაწილეობით შერწყმისა და შთანთქმის განხორციელებაზე, რათა არ მოხდეს ეროვნული მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მონოპოლიზაცია.

მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილებით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ უცხოური ინვესტიციების რეგულირება ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით რეგიონალურ (შტატი, პროვინცია) დონეზე. აშშ-ში შტატების დონეზე წარმოდგენილია ისეთი ინვესტიციური შეღავათები, როგორცაა საგადასახადო განაკვეთის შემცირება, უფასო აღჭურვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით და სხვ. ზოგიერთ შტატში არის განვითარების სააგენტო, რომელიც უცხოელ ინვესტორებს აწვდის ინფორმაციას ცალკეული შტატების მიხედვით. კანადაში ცალკეული პროვინციები უცხოელ ინვესტორებთან მიმართებაში თავისი საკანონმდებლო აქტებით ხელმძღვანელობენ. ავსტრალიაში თითოეულ შტატში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად შექმნილია ბიუროები, რომელთაც გააჩნიათ უცხოელ ინვესტორებზე შეღავათების მინიჭების უფლება, ეს იქნება ფასდაკლებები მიწის ნაკვეთის იჯარასა თუ შეძენაზე, ელექტროენერჯისა და წყლის გადასახადების გადახდაზე, შეღავათიანი სესხებისა და სუბსიდიების გაცემაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი რეგულირება. მართალია, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები ნაკლებად არიან მიდრეკილნი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვების თუ აკრძალვების დაწესებისაგან, ვიდრე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, მაგრამ

მათ კანონმდებლობაშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ მსგავსი ლიმიტები. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, შვეიცარია, იტალია, ავსტრალია და აშშ, შეზღუდვები ძირითადად გათვალისწინებულია მომპოვებელ მრეწველობაში.

მე-20 საუკუნის ბოლოს გაიზარდა ორმხრივი ინვესტიციური შეთანხმებების როლი, როგორც საშუალებისა, რომლის დახმარებითაც მიმღები ქვეყნები უცხოელ ინვესტორებს უზენებენ მზაობას უზრუნველყონ მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ყველა სახელმწიფო-სამართლებრივი გარანტია. უფრო მეტიც, ორმხრივი ინვესტიციური ხელშეკრულებების ზრდა, რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღო, ისინი უფრო უნიფიცირებული გახდა. რეგიონალურ დონეზე (ევროკავშირი, ჩრდილოამერიკული შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე, აზიის ქვეყნების ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობა და სხვ.) მიმდინარეობს ერთიანი საინვესტიციო სივრცის მშენებლობა თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის პარალელურ პროცესთან ერთად, რაც ბაზრის მონაწილეებისათვის აუმჯობესებს ვაჭრობის პირობებს, იცავს მათ ინტერესებს ბაზარზე და უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს ინვესტიციური პროცესების ინტეგრაციისათვის.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ უცხოური გამოცდილების გამოყენებას. სწორედ, მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე უნდა შემუშავდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მართვის პროცესის ორგანიზებისადმი კომპლექსური მიდგომა. საერთო სამართლებრივი ბაზის შექმნა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს სამეურნეო გარემოს ტრანსპარენტულობას, საკუთრების უფლებების დაცვას სამეურნეო აქტივებსა და ფინანსურ ნაკადებზე, ინვესტირების დაცვას პოლიტიკური ხასიათის რისკებისაგან და დაცვას სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა ზეწოლისაგან. კანონების საერთო რაოდენობა იზრდება, მაგრამ მათში ბევრია “თეთრი ლაქები”.

ინვესტიციური საქმიანობის მარეგულირებელი კანონები ცუდად უკავშირდება ერთმანეთს, ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ინვესტირების საერთაშორისო პრაქტიკა, ორმხრივი შეთანხმებები არ პასუხობს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მოთხოვნებს. ამ პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა შეიძლება იყოს უცხოური ინვესტიციების სააგენტოს შექმნა ეკონომიკის სამინისტროსთან. ერთ-ერთი მისი ფუნქცია უნდა იყოს სხვადასხვა სპეციალური პუბლიკაციების გამოშვება, რომლებიც გაითვალისწინებენ უცხოელი ინვესტორების

ინტერესებს და მიაწოდებენ მათ ინფორმაციას, მაგალითად, საქართველოს ეკონომიკაზე, დარგობრივ-ანალიტიკურ მიმოხილვაზე, რეგიონალურ გამოკვლევებზე, სარეკლამო მასალებზე და ა.შ.

ზემოთ გამოთქმულის გარდა მიზანშეწონილია შეიქმნას საკრედიტო და ინვესტიციური რისკების სადაზღვევო სააგენტო. ეს აუცილებელია, რადგან დღევანდელი ბიუჯეტი ვერ იქნება ინვესტორებისათვის საკმარისი გარანტია. ამასთან ერთად შეიძლება შეიქმნას პირდაპირი ინვესტიციების სადაზღვევო სააგენტო. ამ ორგანოს ფუნქციები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. პოლიტიკის განსაზღვრა დაზღვევის სფეროში;
2. ინვესტიციური პროექტების განხილვა, გარანტიების შეთავაზება;
3. დავების დარეგულირება.

თავდაპირველი ფინანსირება საბიუჯეტო სახსრებით ინდა მოხდეს, ხოლო შემდეგ სადაზღვევო პრემიებით, რასაც ინვესტორები გადაიხდიან მიღებული გარანტიების სანაცვლოდ.

იმისათვის, რომ შეიქმნას სასარგებლო ინვესტიციური კლიმატი როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის, აუცილებელია კანონების შემუშავებისას მოხდეს სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირებით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის მისწრაფებას ნატოსა და ევროკავშირის წევრობისაკენ, რთული წარმოსადგენი არ იქნება რამდენად ძნელი გზა არის გასავლელი ზემოთ დასმული საკითხების გადასაწყვეტად. შესაძლებლობების ზრდის პროპორციულად იზრდება ვალდებულებებიც, ამიტომ, თუ გვინდა დასახული მიზნები მიღწევა ათეული წლები არ დასჭირდეს, საჭიროა სწრაფად და ადეკვატურად მოვახდინოთ ცვლილებები.

თავისუფალ ვაჭრობაზე ჩრდილო ამერიკული შეთანხმებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის მაგალითზე და ასევე სხვა გაერთიანებების მიხედვით, რომლებშიც ფართოდ მონაწილეობენ განვითარებადი ქვეყნები, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მიზანშეწონილია და აუცილებელიც კი, რომ საქართველო გამოვიდეს ახალი რეგიონული გაერთიანების შექმნის ინიციატორად ან უკვე არსებულ გაერთიანებებში (სუამი) შევიდეს წინადადებით ინვესტიციურ საქმიანობაზე თანამშრომლობის გაფართოების მიზნით. ასეთი საჭიროება არსებობს თუნდაც იმ

მიზეზით, რომ მალე ძალას დაკარგავს დსთ-ს ეგიდით გაფორმებული ყველა ხელშეკრულება ნებისმიერი თანამშრომლობის თაობაზე.

საერთაშორისო ბაზრებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში საქართველოს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის შეღავათების სისტემის ეროვნული რეჟიმისა და ზოგიერთ ამონაგებზე გარანტიების შემუშავება, ასევე პოტენციური ინვესტორების სრულფასოვანი ინფორმირება საელჩოების, ვაჭრობის ატაშეების, საინვესტიციო ბიუროების, ორმხრივი საგაჭრო პალატების თუ სხვათა დახმარებით. ასეთი შეღავათების გამოყენება დროებით ღონისძიებად უნდა იქცეს და გამოყენებულ უნდა იქნეს შეზღუდული მასშტაბებით. პერსპექტივაში მთავარ ამოცანად უნდა იქცეს მსგავსი შეღავათების ეტაპობრივი უგულვებელყოფა. ამის გარდა უნდა მოხდეს ისეთი უპირატესი მფარველობის რეჟიმის განხორციელება, რომელიც არ იქნება დისკრიმინაციული ხასიათის მატარებელი არც ერთი ქვეყნის ინვესტორის მიმართ. უპირატესი მფარველობის რეჟიმი მიზანშეწონილია ეფუძნებოდეს საბაჟო და ეკონომიკურ კავშირებს, გაფორმებულ ხელშეკრულებებს ორმაგი დაბეგვრის უგულვებელყოფის შესახებ ან დაბეგვრასთან დაკავშირებულ სხვა შეთანხმებებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების რეჟიმი ტრანსპარენტულობის მაღალი დონით უნდა გამოირჩეოდეს, საქართველოში, – პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით სამართლებრივი ნორმები უნდა იყოს გახსნილი და ცალსახა, ხოლო ამ ნორმების გადახედვის პროცედურები საჯარო და განხილვისათვის ხელმისაწვდომი. ჩვენი აზრით, ასევე საჭიროა მოხდეს მკაფიო ფორმულირება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის პრიორიტეტებისა და ინსტრუმენტების ნაკრები სტიმულებისა და შემზღუდავი ღონისძიებების სახით, რაც საჭირო ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტებისათვის იქნება აუცილებელი. პრიორიტეტულ პროექტებს უნდა შევთავაზოთ უფრო ხელსაყრელი საკანონმდებლო რეგულირების რეჟიმები. ამას გარდა, კარგი იქნება, თუ სახელმწიფოსა და კომპანიებს შორის დაიდება სპეციალური საინვესტიციო ხელშეკრულება. მთავარია ისეთი ცალკეული ღონისძიების ხელშეწყობა, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ქართული ეკონომიკისთვის, მათ შორის კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტის სტიმულირება და ახალი ტექნოლოგიების იმპორტი. ჩვენი აზრით ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია “საგადასახადო არდადეგების” გამოყენება და მოგების გადასახადის გაუქმება ან შემცირება. სახელმწიფო ინვესტიციების ნაწილი აუცილებელია მივმართოთ ამ დარგების ინფრასტრუქტურის განვითარებაში,

ტექნოლოგიური პარკების შექმნაში და ინვესტიციების კომპლექსური სტიმულირების მიზნით საექსპორტო ზონების შექმნაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდის კიდევ ერთ პირობად უნდა მივიჩნიოთ ზოგადი ხასიათის ღონისძიებებისა და სპეციალური შეზღუდვების ერთდროული გამოყენება სხვადასხვა დარგში, ასევე სამართლებრივი ბაზის შემუშავება და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინვესტიციების უფლებების დამცავი საქმიანობის ჩატარება. საქართველომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ორიენტაცია უნდა აიღოს საშუალო და მცირე უცხოური კომპანიების მოზიდვაზე, რომლებიც განიცდიან განსაკუთრებულ საჭიროებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში.